ბრძანება:**ბ47. 47232642**
თარიღი:**21/09/2023**

ბრძანება N 84

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი

სხდომის მოწვევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 26-ე მუხლის პირველი პუნქტის, 61 -ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის №9 დადგენილებით დამტკიცებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-40 მუხლის საფუძველზე

ვბრძანებ:

1.მიმდინარე წლის 28 სექტემბერს დღის 12 საათზე, მოწვეულ იქნეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა შემდეგი დღის წესრიგით:

1.1.ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ მიერ 2023 წლის განვლილ პერიოდში სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური კუთხით გაწეული საქმიანობის შესახებ.

მომხსენებელი: ნატო ჯიბუტი

1.2.ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის შესახებ.

მომხსენებელი: ვალერი ყაჭეიშვილი

1.3.,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესახებ” - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 დეკემბრის N31 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

1.4.„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე “ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: მარიტა მგალობლიშვილი

1.5.ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის IV კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. N 4.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ირაკლი კუჭავა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი